

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
ბიუროს სხდომის

ოქმი № 09

„16“ მაისი 2023 წ.

ქ. თელავი

**თავმჯდომარეობდა :** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე თენგიზი მთვარელიშვილი

**სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:**

თავმჯდომარის პირველი მოადგილე მამუკა ბურდიაშვილი;  
თავმჯდომარის მოადგილეები: ალექსანდრე შათირიშვილი, მიხეილ დაღუნდარიძე;  
სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ლევან ბერძენაშვილი;  
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ლილუაშვილი;  
ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე თინათინ ხანჯალიაშვილი;  
სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის  
და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე ლევან კოჭლოშვილი;  
ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე დავით ღალანიძე;  
ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარე ბაადურ რევაზიშვილი

**სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:**

საკრებულოს აპარატის უფროსი ტარიელ გალახვარიძე;  
საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე მედეა ჩაფურიშვილი;  
საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდობის საკითხებში  
თავმჯდომარის მრჩეველი ნიკოლოზ ლაშები.

დღის წესრიგი:

- თელავის მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსული პროექტების საკრებულოს კომისიებში განსახილველად გადანაწილების შესახებ.

მომხს. თ.მთვარელიშვილი

**1.მოისმინეს:** თელავის მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსული პროექტების საკრებულოს კომისიებში განსახილველად გადანაწილების შესახებ.

მომხს. თ.მთვარელიშვილი

თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს წარუდგინა მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსული პროექტები და აგრეთვე პროექტები, რომლებიც საკრებულოს მიერ დაწყებულია ადმინისტრაციული წარმოება.  
თავმჯდომარემ ასევე ისაუბრა საკითხების განხილვის ვადებზე.

**აზრი გამოთქვეს:** დ.ღაღანიძემ, ლ.ბირძენაშვილმა

**გადაწყვიტებს:** თელავის მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსული სამართლებრივი აქტების პროექტები საკრებულოს კომისიებში გადანაწილდეს შემდეგი სახით:

**საფინანსო-საბიუჯეტო კომისია:**

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის №. 22 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე;

სოციალური, კულტურის, განათლებისა  
და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია:

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 იანვრის N04 განკარგულებაში „თელავის მუნიციპალიტეტში 2023წელს განსახორციელებელი კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე;

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის  
და ბუნებრივი რესურსების კომისია:

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 თებერვლის N10 განკარგულებაში „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე;
2. „ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების კატალიზატორი (CESL)“ პროგრამის ფარგლებში გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მიერ გამოცხადებულ საპროექტო იდეების კონკურსზე განსახილველად წარდგენილი, თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ.

**ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისია:**

1. „ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების კატალიზატორი (CESL)“ პროგრამის ფარგლებში გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მიერ გამოცხადებულ საპროექტო იდეების კონკურსზე განსახილველად წარდგენილი, თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ.
2. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების (ავტოსატრანსპორტო საშუალება) საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ.
3. მდგრადი განვითარების მიზნების თიონაოის მოწიავაოოორი თოაუთიმინაშის თაშინიაოიშის შისახის

სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისია:

4. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 31 მაისის №11 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მარშრუტებზე მგზავრობის ტარიფისა და შეღავათების დადგენის თაობაზე“ ცვლილების შეტანის შესახებ.
5. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 30 მარტის N08 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის მერის მიერ მშენებლობის შესახებ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესრულების კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

საკრებულოს თავმჯდომარე



თენგიზი მთვარელიშვილი